№ 176

ოთხშაბათი, 18 აგვისტო, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 176

ოთხშაბათი, 18 აგვისტო, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## მგზავრთა საყურადღებოდ

ახლად დაარსებულ იქმნა ქართველ მგზავრთათვის

ს ა ს ტ უ მ რ ო

„ა ბ ა შ ა“

ტფილისის მეორე მალაკნის ქუჩაზედ.

ეს სასტუმრო ძალიან კარგსა და მარჯვე ადგილას არის: ტფილისის რკინის გზის სადგურის მახლობლად; სწორედ კარებზედ უვლის ავჭალის კონკაც.

ოთახები საუცხოვოდ არის მორთული და მოწყობილი.

**ფასი მეტად იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:**

დღეში **60** კაპეიკიდგან **1** მან. **50** კაპეიკამდე. თვეობით უფრო იაფია.

(10—97—8) დავშთები მარად პატივის მცემელი **ნიკო თოფურია.**

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა“

ამით აცხადებს, რომ ვისაც **სენაკის სათავად აზნაურო სკოლის მასწავლებლის ადგილის დაჭერა სურს** (ოთხი ადგილია), იმან უნდა 25 აგვისტომდე წარუდგინოს სკოლის გამგეს თ. მთავრიშვილს ქ. ქუთაისში მოწმობა, თუ სად მიუღია სწავლა და სად უმსახურნია.

თხოვნების შეტანა მოსწავლეების მისაღებად შეიძლება 26 აგვისტოდან 31-ამდის. განმეორებითი ეგზამენებიც ამ დროს მოხდება. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. (3—უ—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница** ***Д-ра Навасардіана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ პოდპორუჩიკობა იუნკრებს: მიხეილის არტილერიის სასწავლებლისას თავ. წერეთელს არტილერიის მე 20 ბრიგადაში; ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებლისას: იმნაძეს—კავკასიის მე 3 თოფის მსროლელ დრუჟინაში, ფურცელაძეს—ანდალუზის სათადარიგო ბატალიონში და მდივანს—უუბის მე-155 ბატალიონში. კიევის სამხედრო სასწავლებლისას—დათიაშვილს—კავკასიის არტილერიის დივიზიაში; კორნეტობა—ელისავეტგრადის იუნკერთა სასწავლებლის იუნკერს მდივანს მისის დიდებულების დანიის მეფის მე-45 დრაგუნთა რაზმში.

## ახალი ამბავი

—

*** მეფუტკრეობის გამოფენა ოზურგეთში გაიმართება 26 აგვისტოს. განყოფილების წარმომადგენელს ი. გ. ქუთათელაძეს შეუდგენია გამოფენის გამმართველი კომიტეტი ოზურგეთის ქალაქის მოურავის თავ. ნ. ყ. თავდგირიძის თავმჯდომარეობით. გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან ყველა ის კერძო კაცნი და დაწესებულებანი, საზოგადოებანი და ამხანაგობანი, რომელნიც მეფუტკრეობასა და ბაღოსნობას მისდევენ. ამათ 26 აგვისტოსათვის უნდა წარადგინონ გამოფენაზედ მეფუტკრეობისა და ბაღოსნობის ნაწარმოები.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის აგრონომი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი დაბრუნდა გორის მაზრის სოფ. არაშენიდგან, სადაც ამ დღეებში ფილოქსერა აღმოაჩინეს ვენახებში. ამ მოკლე ხანში საფილოქსერო კომიტეტი შეიმუშავებს ზომებს ამ სოფელში ფილოქსერის მოსასპობად.

*** ბ-ნი ლეისტი, როგორც „ახ. მიმ.“-ს შეუტყვია, ამ ჟამად ჰბეჭდავს და ამ დღეებში ცალკე წიგნად გამოსცემს ნემეცურს ენაზედ ქართულ ლექსების თარგმანს, რომელსაც თან ახლავს ქართულ მწერლობის მიმოხილვა.

*** საფრანგეთის ცნობილი არქეოლოგი და ეტნოგრაფი ბარონი დე-ბაი ამ თვის გასულს ტფილისში მოვა. საფრანგეთის მთავრობას ამ სწავლულისათვის დაუკისრებია ახალი მინდობილება კავკასიის გამოსაკვლევად.

*** ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელმა საყოველთაო მოწერილობით წინადადება მისცა ყველა ბოქაულთ, ზედამხედველობა გააძლიერეთ იმისათვის, რომ ყასბებმა არ აიღონ მყიდველთაგან ხორცში ნიხრით დაწესებულ ფასზედ მეტიო.

ქალაქის გამგეობამაც თავისის მხრივ დაავალა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის მოხელეთ, თვალ-ყური დაიჭირეთ, რომ ხორცი ნიხრისამებრ იყიდებოდესო.

*** კავკასიის მამეურნეო საზოგადოების საბჭოს განკარგულებით, ხალხში გაუმჯობესებულ სამიწადმოქმედო იარაღთა გასავრცელებლად, გაგზავნილ იქმნა საზოგადოების საწყობის სიღნაღისა და თელავის განყოფილებაში გაუმჯობესებული გუთნები გლეხებში გასასყიდად. სამეურნეო საზოგადოების საწყობში ამ ჟამად 7,000 მანეთის სამეურნეო იარაღი ინახება.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოში წარდგენილ იქმნა ბორჯომის მამულის 18 გლეხის საქმე, რომელთაც ისა ჰბრალდებათ, რომ წინააღმდეგობა გაუწიეს სურამის ნაწილის ბოქაულს და პოლიციის მოხელეთ, როცა ეს უკანასკნელნი სასამართლოს განაჩენს ასრულებდნენ.

*** 16 აგვისტოს მოხდა სასმელებისა და სხვა დუქნების პატრონთა კრება, რომელსაც დაესწრო 76 კაცი. კრებამ სრული უარი განაცხადა კომისიის არჩევაზედ და მოითხოვა ქალაქის გამგეობისაგან საშუალო აქციზის შემცირება 5,800 მანეთით. ასეთის თხოვნით, როგორც ვუწყით, იმათ ამას წინად საგუბერნიო მთავრობასაც მიმართეს, მაგრამ ეს თხოვნა შეუწყნარებელი დარჩა. ვერავითარმა რჩევამ გამგეობის წევრის თავ. არღუთინსკი—დოლგორუკოვისამ ვერ გასჭრა, ასე რომ მათ შორის საშუალო აქციზის განაწილების საქმე გამგეობას გარდასცა გარდასაწყვეტად.

*** როგორც ისმის სიღნაღის მაზრის სოფ. ველისციხის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ სასოფლო სამკურნალოს დაარსების შესახებ. ყოველ ხარჯს სამკურნალოს შესანახად თვით მცხოვრებნი თურმე ჰკისრულობენ.

*** სოფ. ანანურში შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა: ერთს გლეხს სწრაფად დაულევია წყალი დოქით, გადუყლაპავს შიგ მყოფი გველი და საშინელი ტანჯვაწვალებით დაულევია სული.

*** ფასანაურიდგან „კავკ.“-ს დეპეშითატყობინებენ, რომ 15 აგვისტოს აზნ. კობიაშვილმა დუშეთის მაზრის ქსანის ნაწილის სოფ. სამებაში თოფით საშიშრად დასჭრა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე პაიჭაძე.

*** ჭიათურის რკინის გზაზედ ამ ჟამად იმყოფება 4 სახალხო და 12 საქონლის მატარებელი. ყოველდღე ჭიათურის სადგურიდგან მოაქვთ საშუალო რიცხვით, 118 ვაგონი ანუ 750 ფუთი შავი ქვა. ამა წლის 1-ლ აგვისტომდე იქიდგან გამოუტანიათ 5 მილიონ ფუთით მეტი შავი ქვა, ვიდრე შარშან იმავე დროს განმავლობაში.

*** როგორც „პეტ. უწყ.“ სწერს, სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის საბჭოს დაუდგენია გაჰყიდოს 15 დეკემბერს იმ მსესხებელთა მამულები, რომელთაც თავისს დროზედ ფული არ შეაქვთ.

*** ტფილისის იუნკერთა სასწავლებელში შესასვლელი ეგზამენები დაიწყება 20 აგვისტოს.

## ფელეტონი

—

**ქვეყნის ნუგეში**

(სცენა)

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი:

ზურაბი, ახალგაზდა ექიმი.

თეკლე, დედა ამისი.

ათინა, ძიძა ამისი.

კვირიკა, ათინას ქმარი.

ფროსიკო, ზურაბის საცოლო.

გარსევანი, ძმა ამისი მასწავლებელი.

ტასიკო, თეკლეს მოსამსახურე.

მოწაფეები, ავად-მყოფი გლეხები.

(სცენა წარმოადგენს ღარიბად ქართულ გემოვნებით მორთულს ოთახს: კედლებთან ძველებური ხის სკამები და ორი ტახტი სდგას, გახუნებულის ხალიჩებით მოგებული, ზედ მუთაქები აწყვია; ერთს კედელზედ ძველებური თოფ-იარაღი ჰკიდია, სხვებზედ მიკრულია მრავალი უბრალო სურათები უჩარჩოდ, რომელნიც წარმოადგენენ რუსის სამხედრო გენერლებს და სცენებს სხვა-და-სხვა ომიანობისას. მარჯვნივ, სცენის სიღრმეში, ზურაბის საწოლ ოთახის კარებია; ფარდის ახდის დროს ამ კარებთან სდგას ათინა და წელში მოხრილი მეორე ოთახში იჭვრიტება; ტასიკო ჰგვის ოთახს და თან მხიარულად ჰღიღინებს.)

გამოსვლა პირველი.

თეკლე, ათინა და ტასიკო.

თეკლე. (შემოდის ცერებზედ და აქეთ-იქით გაფაციცებით იყურება; ტასიკოს ღიღინს რომ გაიგონებს, უცებ მიუახლოვდება, ტუჩზედ ორივე ხელს მიიფარებს და დაბალის ხმით სტუჩსავს) სუუ, სუუ, ტასიკო, შე შეჩვენებულო! როგორ ჰბედავ აქ ღიღინს?! ხომ იცი, რომ ბატონს სძინავს!

ტასიკო. ვინ ბატონია? (შუბლზედ იტკვლეცს ხელს) ვუიმე, მართლა, ღმერთო მომკალი, სულ გარდამავიწყდა, რომ წუხელის ჩვენი ახალგაზდა ვაჟბატონი—დოხტური მობრძანდა, უი ღმერთო ჩემო! ხა, ხა, ხა!

თეკლე. სუ-მეთქი, გოგო, შე ჩასაქვავებელო! ნუ ხითხითობ ეგრე, თორემ გამოიღვიძებს!..

ტასიკო. ღმერთო ჩემო, რა გულმავიწყი ვარ! ხა! ხა! ხა! (ხელიდგან ცოცხს გააგდებს, წაიქცევა ტახტზედ და ხითხითებს).

თეკლე. (გაფთრებული სცემს ცოცხით) გოგო, შე ღლახვრილო, ხმა ჩაიწყვიტე, თორემ, ღმერთსა ვფიცავ, ავიღებ სკამს და თავს ორად გაგიმტვრევ!

ტასიკო. ხა! ხა! ხა!

თეკლე. კიდევ!.. გაეთრიე მეთქი აქედგან, შე ქაჯის ნაშობო, შე კუდიანო, თორემ ძალით გაგათრევ!

ტასიკო. (კალთებს), ქალბატონო, შენ გენაცვალე, ეგრე ნუ გამირისხდები, მიხარიან დოხტურის მოსვლა და მისთვის ვიცინი... შენი ჭირიმე, ქალბატონო...

თეკლე. გაეთრიე-მეთქი, გეუბნები, გოგო, ყმაწვილი გზით დაღლილია და კარგად უნდა გამოიძინოს...

ტასიკო. ოჰ, ვენაცვალე ჩვენს დოხტურს... ქალბატონო, იცი რას გეტყვი: ეხლა შენ ძველებურად გულის მოსვლას თავი უნდა დაანებო, სულ მუდამ ტკბილი სიტყვები უნდა მელაპარაკო, შაქარი და თაფლი უნდა ამოგდიოდეს პირიდგან, რადგან ამისთანა შვილი მოგივიდა, ამისთანა დოხტური შვილი... ვენაცვალე იმას...

თეკლე. კარგი, გოგო, გეყოფა, ნუ გაიტლიკე ენა როსკიპი დედაკაცივით!

ტასიკო. არა, ქალბატონო, შენ შემოგევლე, მითხარი:—აწი ხომ არ წამავლებ ხელს კოჩორში შენებურად? ხა! ხა! ხა!

თეკლე. (წაავლებს თმაში ხელს) ეჰე, ეხლა მაინც ხომ გაჩუმდები, შე აჯილღა, შენა!

ტასიკო.... (ჰკივის შეგავებულის ხმით) ვაიმე, მიშველეთ! ქალბატონო, მოვკვდი!

თეკლე. მოკვდი, მოკვდი! ეგრე ეკადრება შენისთანა ურცხვილოს და უნამუსოს!

ტასიკო. (გაუსხლტება ხელიდგან და კარებისკენ მიდის) ღმერთმანი, ქალბატონო, აწი კი კრინტსაც არ დავსძრავ, ოღონდ დამაგვევინე ოთახი, ჯერ არ გამითავებია...

თეკლე. გაეთრიე, არა მინდა-რა შენი, მე თითონ დავგვი ოთახს, ოღონდ შენ არ მეჩვენო...

ტასიკო. ხა! ხა! ხა! მერე სირცხვილს სად წაუხვალ, ქალბატონო?

⁂ ქალაქის გამგეობამ 40 თხოვნა მიიღო სხვა და სხვათაგან იმის შესახებ, რომ ქალაქის სტიპენდია დაუნიშნოს საქალებო გიმნაზიების მოსწავლეთ.

⁂ „ტფ. ფ.“-ს ატყობინებენ, რომ საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკი აღიძრა ქუთაისში დაბალ სატეხნიკო სასწავლებლის დაარსების შესახებაო.

⁂ იმავ გაზეთს აუწყებენ პეტერბურგიდგან, რომ სამკურნალო დეპარტამენტს მოუწონებია კ`ვკ`სიის ადმინისტრაციის შუამდგომლობა ტფილისის გუბერნიაში სასოფლო სამკურნალოების გამრავლების შესახებ. განზრახულია დაარსებულ იქმნას ორ-ორი სამკურნალო ტფილისისა, გორისა, და ბორჩალოის მაზრებში და თითო დანარჩენს მაზრებში.

⁂ ტფილისში ამ ბოლო დროს ორი კაცი გამხდარა ავად ციმბირის ჭირით.

⁂ ქ. გორი. კვირას, 15 აგვისტოს, აკურთხეს გორის ციხე, რომელზედაც თავ. ი. გ. ამილახვარის ხარჯით მილით აყვანილ იქმნება წყალი, ხოლო ახლო მომავალში გაშენებულ იქმნება ბაღი. კურთხევას მრავალი ხალხი დაესწრო. აქვე მობრძანდა თვისის მეუღლით თვით თავ. ი. გ. ამილახვარი, რომელსაც სამღვდელოების წარმომადგენელთ სიტყვებით მიჰმართეს და გულითადი მადლობა გამოუცხადეს კეთილის საქმისათვის. ციხის კურთხევის შემდეგ გაიმართა სადილი და საღამო ჟამს ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

⁂ რედაქციამ მიიღო აკაკის „კრებულის“ მე-VII ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: პირველი განყოფილება: 1, ცოცხალი სურათები—ლექსი აკაკისა; 2, ალბომში—მისავე ლექსი; 3, განსაცდელი მეფე ერეკლე მეორეზედ—ი. ლაზარევ მისა; 4, პროგრამმა ეტნოგრაფიულ და იურიდიულ ცნობების შესაკრებად—ა. ხახანაშვილისა; 5, „კინტო“, სამ-მოქმ. კომედია—აკაკისა; 6, საისტორიო მასალა—ზ. ჭ—სა; 7, ევროპის მეაბრეშუმეობა—ს. ქვარიანისა. მეორე განყოფილება: 1, ჯაფარა ჯაფარაშვილის წერილი როსტომ ერისთავისადმი მიწერილი—წარმოდგენილი სიკო განდეგაის მიერ; 2, მასალები ქრისტ. დაცემის და ისლამის გავრცელების ისტორიას დასავლ. საქართველოში—ზ. ჭ.—სა; 3, სოფ. ჟუმა—ან. ქანდარიასი.

⁂ სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა წინადადება მისცა საბჭოს მკურნალთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ქალაქის ქუჩებ-მოედნებისა და ეზოების სისუფთავესაო.

⁂ ქალაქის გამგეობის დადგენილებით კვირა დღეებში წყლის მილები დაკეტილია ხოლმე რიგ-რიგობით, მილის დარაჯთა დასასვენებლად, და ამით მცხოვრებთ საქმე აქვთ გაჭირვებული. წყლის მზიდველები სარგებლობენ ამ შემთხვევით და კვირა დღეებში წყლის მოტანისათვის, 3 კაპიკის მაგივრად, 10 კაპიკს ახდევინებენ ხალხს.

⁂ დუშეთი. ქართულ კონცერტიდგან მცხეთის ტაძრის განსაახლების თანხის სასარგებლოდ სულ შემოსულა 63 მანეთი და 60 კ., დახარჯულა 12 მან. და 60 კ., დარჩენილა 51 მანეთი. ეს 11 ამა მარიამობის თვეს გაეგზავნა თურმე საქართველოს არქიელს ფლაბიანეს.

## მაჩხაანის დეპოს წევრთა წლიური კრება.

8 აგვისტოს მოხდა ზემოხსენებული დეპოს წევრთა წლიური საზოგადო კრება. კრება დაიწყო თორმეტს საათზედ. გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნმა მახარაძემ კრების გახსნისათანავე ურჩია საზოგადოებას გაეგო—კანონიერი რიცხვი წევრთა იყო კრებაზედ, თუ არა; ამისთვის წაიკითხა წევრთა სია. აღმოჩნდა, რომ კრებაზედ იყო მოსული 52 წევრი. რადგანაც რიცხვი საკმარისიაო, დაუმატა ბ-მა მახარაძემ, ამიტომ გთხოვთ ამოირჩიოთ კრების თავმჯდომარე და საქმეს შევუდგეთო. დაასახელეს კანდიდატები. შემდეგ თითქმის ერთხმადა სთხოვეს თავმჯდომარეობა ა. ს. ბენაშვილს, მაგრამ მან უარი განაცხადა; საქმეში კარგად ჩახედული არა ვარ და სხვა ამოირჩიეთო. შემდეგ დაასახელეს ა. ნატროშვილი და ი. გომელაური. გომელაურმა უარი განაცხადა, მაგრამ საზოგადოება მაინც სთხოვდა. ბოლოს თავმჯდომარის წინადადებით ამ კანდიდატებს კენჭი უყარეს, ი. გომელაურს ამოუვიდა 28, ხოლო ა. ნატროშვილს—14. ასე თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ი. გომელაური, ხოლო მდივნად—მ. მ. ბენაშვილი.

თავმჯდომარემ სთხოვა კრებას ჯერ წაეკითხათ და გაეშინჯათ წლიური ანგარიში და შემდეგ სხვა კითხვების განხილვას შესდგომოდნენ. წინადადება მიღებულ იქმნა. თავმჯდომარემ წაიკითხა ბალანსი. ხოლო ბალანსის წაკითხვამდის, გამგეობის თავმჯდომარემ, ბოდიში მოიხადა რა საზოგადოების წინაშე, რომ მოუცლელობისა გამო ვრცელი მოხსენება ვერ წარმოგიდგინეთო, რადგანაც გამგეობის წევრთაგან მხოლოდ მე დავრჩი ამ ბოლო დროსაო, დაჰპირდა, რომ, საჭირო როცა იქმნება, ბალანსში მოხსენებულს ციფრებს გავმარტავო. ბალანსის წაკითხვის შემდეგ, თავმჯდომარემ სთხოვა კრებას წარმოეთქვა თავისი აზრი.

დ. ბაზიეროვი. ამ წინაზედ მე დეპოში ვიყავი. ნოქრები ბამბასა სწონავდნენ ანგარიშისათვის და გამგეობის წევრები ან სარევიზიო კომისიისა არსადა სჩანდნენო; ასე რომ დიდათ საეჭვოთ მიმაჩნია ის აწონა და გაზომვა, რომელიც მანდ არის მოხსენებული. გარდა ამისა მე ვიცი, რომ სარევიზიო კომისიის წევრებს სახლში გაუგზავნეს დავთარი ხელის მოსაწერად.

ფ. მახარაძე. მე სულ მუდამ დეპოში ვარ, და თუ ერთხელ როდისმე უჩემოთა სწონავდნენ, მე იმას შემდეგ კიდევ ავაწონინებდი.

დ. ნადირაძე. (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე.) აწონვა-აზომვაში ჩვენ მუდამ ვესწრობოდით და ორჯერ ვამოწმებდით. ასე რომ ბ-ნ ბაზიეროვის შენიშვნა უსაფუძვლოდ მიმაჩნია.

თავმჯდომარე. ბ ნი ბაზიეროვი საშინელს ბრალსა სდებს გამგეობასა და სარევიზიო კომისიის წევრებს! საზოგადოების მიერ ამორჩეულ კაცების ასეთი შეურაცყოფა, თითქმის უსაბუთოდ, დიდი შეცდომაა და არც მართებულობა მოითხოვს. ამიტომ ამ საგანზედ ლაპარაკსა ვსპობ.

ვ. ხოსიტაშვილი. (ყოფილი წევრი გამგეობისა) ამ ანგარიშის შედგენაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და ამიტომ არაფერში პასუხის მგებელი არა ვარ.—ჩემთვის ისიც-კი არ შეუტყობინებიათ, რომ დღეს კრებაა, და მე სრულებით შემთხვევით მოვედი აქ.

ფ. მახარაძე. მოწვევის ბარათი გამოვგზავნეთ და თუ ბიჭმა არ მოგიტანათ, ჩვენი ბრალი არ არის.

დ. ჯაკაშვილი. (ძველი გამგეობის წევრად ყოფილი). ბალანსში მოხსენებულია, რომ ჩემზედ ვალია ორმოცამდე თუმანი. მაგრამ მე მაგას არა ვკისრულობ.

ფ. მახარაძე. დეპოს შენობა შეისყიდეს ი. ნ. გომელაურმა და დ. ჯავაშვილმა. რაც მაგათი ფული იყო დეპოში, ის გამოუზარიეთ, და ჩვენის ანგარიშით კიდევ დარჩა ჯავაშვილზედ ფულები. ეგ კი იმ ვალს არა კისრულობს და აი რა მოსაზრებით: მე დეპოს ვასესხე ფული 6% მხოლოდ ერთი წლითო, იმის შემდეგ მე ხელს არ მაძლევსო და ეხლა 10% ანგარიშობს. გარდა ამისა, იმ ჯილდოს, რომელიც წინა წლებში არ მიიღო, ეხლა თხოულობს. ჩვენ დაუწერეთ ქაღალდი, რომ თუ საზოგადოება ყველა ამას მისცემს,—ჩვენც ვალს არ გადავახდევინებდით.

გ. ტყავაძე. ჯავაშვილს უსესხებია ფული ექვს პროცენტად. თუ ხელს არ აძლევდა, ერთი წლის შემდეგ ან ფული უნდა მოეთხოვა, ან ვექსილი გამოეცვალნა, თორემ ეხლა მაგან იქნება ოც-და-ათი პროცენტიც მოგვთხოვოს და ჩვენ ხომ არ მივცემთ.

გარდა ამისა, თუ მაგის ფულს სარგებელი აქვს, განა ჩვენს ფულს-კი არ უნდა ჰქონდეს? მე ვთხოვ კრებას დაადგინოს: ჯავაშვილს ექვს პროცენტზედ მეტი არ მიეცეს, რაც იმას ფული მართებს, იმასაც სარგებელი უანგარიშოს და ამ ნაირად გად ახდევინოს მას მაზედ დარჩენილი ფული.

კრება დასთანხმდა ტყავაძის წინადადებას.

დ. ჯაკაშვილი. თუ სხვებს 10% აძლევთ, ჩემმა ფულმა რაღა დააშავა? რადგანაც კრებამ ჩემი საჩივარი არ შეიწყნარა, ეხლა ნება მაქვს საზოგადო სამართალს მივმართო.

გ. ტყავაძე. ბალანსში სწერია, რომ დეპოს მ. ტუკუშაშვილისა მართებს 2150 მანათიო. საჭიროა ვიცოდეთ, ეგ რა ვალია და ან რაში მოიხმარა გამგეობამ.

ფ. მახარაძე. ბატონებო, აი საქმე რაში გახლავთ: პირველად, ვიდრე ჩვენი დეპო დამტკიცდებოდა, გამგეობის წევრები იყვნენ პასუხის მგებელნი მევალეებთან; ვექსილებსაც ისინი აწერდნენ ხელს და პასუხის მგებლებიც ისინი იყვნენ. დ. ნადირაძესაცა ჰქონდა თავისი, ხელ-მოწერილი ტფილისელი ვაჭრების ვექსილები, ეხლა, როდესაც დეპო დაგვიმტკიცდა, ვალების პასუხის მგებელი დეპოა. რადგანაც დ. ნადირაძეს უნდა გადაეხადა დარჩენილი ვალები, ამიტომ დეპო გაუსწორდა მას; ჩააბარა ხუთას თუმანში რაც ერგებოდა, გარდა ზემოხსენებული 2150 მანათისა, ხოლო მაგისი-კი ვექსილი მისცა, დიმიტ. ნადირაძის სურვილითა და თანხმობით, მას-კი არა,—არამედ იმის სიძეს მ. ტუკუშაშვილს. ხოლო ტფილისის მევალეები უნდა თითონ ნადირაძემ გაისტუმროს.

გ. ტყავაძე. თუ ვალებს გაისტუმრებდით, რაღა საჭირო იყო აქ ნადირაძე. თითონ დეპო გაუსწორდებოდა ტფილისელ მოვაჭრეებს.

დ. ნადირაძე. მე საჭიროდ დავინახე ასე მოვქცეულიყავ, იმიტომ რომ ერთ დღეს ტფილელი ვაჭრები აიკლებდნენ დეპოს და მე-კი წვრილ-წვრილად გადავახდევინებ.

გ. ტყავაძე. დ. ნადირაძემ დეპოს ვალი მოიშორა ას ათი თუმანი. მერე ეგ ფული ჩააბარა ტფილისელ ვაჭრებს? არა, არ ჩაუბარებია და ამით ნდობა დაუკარგა ჩვენს დაწესებულებას.

დ. ნადირაძე. ნდობა ვინ დაუკარგა, მე თუ თქვენა. ჩემი ფული რომ არ იყოს აქ, აქამდის თქვენ დეპოს სული ამოსძვრებოდა, და თუ აქამდის დეპო არსებობს, ისევ ჩემი მადლობელი უნდა იყვნეთ. რადგანაც თქვენ ემაგეთი უმადურები ხართ, თუმცა აქამდის ძალიან ვცდილობდი, მაგრამ ეხლა პირველი მე ვარ მოწადინებული, რომ ლიკვიდაცია მოხდეს.

თავმჯდომარე. კითხვა საკმაოდ გამორკვეულია. დ. ნადირაძის ხელ-მოწერილ ვექსილებით დეპოს მართებია ხუთას თუმნამდის. დეპოს დ. ნადირაძისათვის ჩაუბარებია ზოგი ფულად, ზოგიც თამასუქებით, ასე რომ, ტფილელ ვაჭრებთან პასუხის მგებელი ეხლა დ. ნადირაძეა. ჩვენთვის, ე. ი. გამგეობისათვის საჭირო საბუთის ქაღალდები იქონიოს, რომ დ. ნადირაძესთან ყოველივე ანგარიშები გასწორებულია.

დ. ბაზიეროვი. ნებას ვაძლევ ჩემს თავს ერთი რამ კიდევ შევნიშნო. ამისთანა შემთხვევაში, როდესაც მა-

---

დითებული დოხტური შვილი სახლში გიზის და შენ ცოცხს ჰკიდებ ხელს! ხომ დიდი ცოდვაა მაგისთანა საქმე! ღმერთიც გიკანონებს და ქვეყანაც დაგზრახავს, მე რომ შენი ვიყო, აწი ხელსაც არ გავანძრევდი არაფრისთვის... მოვიკეცდი მუხლებს დიდ-კაცურად ტახტზე და მხოლოდ ბრძანებას გავსცემდი; აი, ქალბატონო, ამისთანა ცხოვრება შეშვენის დოხტურის დედას და არა ნაგავში გორება.

თეკლე. დიახ შენმა გახეთქამ, მარტო ბრძანებით გაარიგებ შენთან საქმეს! მუდამ თავზედ გადგევარ და მაშინაც შენი ხელიდგან სიავის მეტი არა გამოდის-რა!

ტასიკო. ეჰ, ქალბატონო, ღმერთი გიკანონებს მაგისთანა სიტყვებს; განა ჩემისთანა მოსამსახურეზე მაგისთანა სიტყვები ითქმის?! აბა შემხედოს კაცმა—დილიდგან საღამომდის თქვენს ოჯახში ჯარასავით ვტრიალებ!

თეკლე. ისემც ღმერთი გაუმარჯვებს შენს ოხერს თავს! ტიკივით ჰგორავხარ დილიდგან საღამომდის და ხვრინავ; ისა სჯობია, რომ სრულ აღაც არ დაეთრეოდე ჩემს ოჯახში.

ტასიკო. მაშ თუ ეგრეა, დამითხოვე, ქალბატონო!

თეკლე. წაეთრიე. ოჰ, ნეტავიკი მოგიშორო თავიდგან-და! სისხლი მაინც არ გამიფუჭდებოდა მუდამ წამს შენთან ჩიჩინით!..

ტასიკო. ეჰ, ქალბატონო, ღმერთი გიწყენს; მერე სად იშოვნი ჩემისთანა ერთგულს მოსამსახურეს? (თითს უქნევს ცბიერის ღიმილით) ქალბატონო, ვიცი რომ მეხუმრები, უჩემოდ ერთს დღესაც ვერ გასძლებ, გენაცვალე სულში, ვერ გასძლებ ვერა, ქალბატონო... ხა! ხა! ხა!

თეკლე. (ცოცხით ემუქრება) გოგო აქედგან დამეკარგე-მეთქი, თორემ ღმერთსა ვფიცავ...

ტასიკო. ორი სიტყვა მათქმევინე, ქალბატონო, შენ გენაცვალე...

თეკლე. აბა გაათავე, რა ცეცხლი და ნავთი გინდა კიდე?

ტასიკო. ქალბატონო, შენი ჭირიმე, ხომ კარგად წარმადგენ დოხტურთან? ხომ ეტყვი—ტასიკოსთანა გოგო მთელს დედამიწაზე არ მოიძებნება-თქო, ოქროა ნამდვილი, ხალასი ოქრო-თქო?.. მაშინ მე დოხტური ბევრს საჩუქრებს მომცემს... ეხლაც უთუოდ მომიტანდა პოლსაპოშკებს და საყურეებს რუსეთიდგან, ვენაცვალე ზურაბს...

თეკლე. დიახ, შენმა სიცოცხლემ, სულ შენს საჩუქრებზედ იფიქრებდა რუსეთში ზურაბი!.. ან ვინ მისცემდა საჩუქრების საყიდელს ფულს,— საბრალო ბავშვი სწავლაში იყო და თავსაც ძლივს ირჩენდა... აწი თუ ღმერთი რასმე შეაძენინებს, თორემ ამდენს ხანს გაჭირვებული იყო სა ცოდავი...

ტასიკო. რა ნაძლევი, ქალბატონო, რომ ზურაბს ჩემთვის საჩუქრები ჰქონდეს? მე თვითონ შემოვიტანე წუხელის მისი ბარგი.. ოჰ, ისეთი მძიმე იყო...

თეკლე. შე სულელო, უთუოდ საექიმო იარაღები და წამლები ექნება...

ტასიკო. ქალბატონო, გენაცვალე, ხომ მიექიმებს ზურაბი?

თეკლე. მერე შენ რაღა გტკივა, შე სასიკვდილე?

ტასიკო. ქალბატონო, შემოგევლე, ზურაბს ხომ ეცოდინება მისთანა წამალი, რომ როდესაც გავთხოვდები, შვილი არ მეყოლოს? ხა! ხა! ხა!

თეკლე. სუ—მეთქი, გოგო, გაეთრიე აქედგან!

ტასიკო. თუ მეყოლა შვილი, ქალბატონო, თავს მოვიკლავ...

თეკლე. მერე ვინ იქნება მისთანა თავ მოძულებული, რომ შენისთანა მუქთა ხორა და ენა ტარტალა შეირთოს?

ტასიკო. ოოო, საცოცხლე მოგეცა, ქალბატონო, ეხლაც ბევრს ყმაწვილს რჩებოდეს ტასიკოზედ თვალი, მაგრამ ბრაწი! (ბრაწს აკვეთებს) ვერ მივართვი! მე ვირაგინდა ყაზახს არ წავყვები... მე მინდა აზნაური, რომ შემაჯდინოს „სედლოზე“... მე გეტყვი შენ ვერ მოვახმარ აზნაურის ცოლობას! ისე კოხტად, ლამაზად შევჯდები „სედლოზე“ (დაჯდება ტახტზე და ერთს ფეხს მეორეზე გადაიდებს), ასე გადვიდებ ერთს ფეხს მეორეზე.. ხომ მიხდება ქალბატონო? ხა! ხა! ხა! (გარბის სცენიდგან სიცილით, თეკლე უკან დაედევნება და ცოცხს ესვრის)

ილ. პონტელი

(შემდეგი იქნება).

ღაზია ზარალობს, შარშანაც და წელსაც დეფიციტით გავათავეთ წელიწადი, ტფილელი ვაჭრები იკლებენ ხოლმე ფულს თამასუქზედ. იქნება შეიძლებოდა ჩვენ გაგვესტუმრებინა ისინი და ისინიც ნახევარს თუ არა, სამ მეოთხედს ხომ დაგვჯერდებოდნენ,—და ჩვენთვის ისიც კარგი იყო. ეხლა-კი სრულად ჩაგიბარებიათ ბ-ნ ნადირაძისათვის.

დ. ნადირაძე. ვაჭრები სარგებელს და „ნეუსტოიკებსაც" ანგარიშობენ, ასე რომ მე მეტი გადამხდება, ვიდრე ვექსილებში არის მოხსენებული.

ამის შემდეგ კრებამ მოუწონა გამგეობას დ. ნადირაძესთან ანგარიშების გასწორების საქმე და შემდეგ საგნების განხილვას შეუდგა. დიდი კამათი გამოიწვია ნისიების გაცემის საქმემ. წელს გამგეობას გაუცია ოთხმოც და ათ თუმნამდის ნისია, ძველი ნისიებიც რომ არ ვიანგარიშოთ.

მღ. ეგ. მენთეშაშვილი. ჩემის აზრით, ნისიების გაცემა სრულებით უნდა მოისპოს: ნისიები გვღუპავს ჩვენ.

ფ. მახარაძე. ამისთანა დაწესებულებას არ შეუძლიან უნისიოდ არსებობა. ნისიები უნდა იყოს, მაგრამ რამე წესებს უნდა ექვემდებარებოდეს ნისიების გაცემა.

მღ. მ. ზენაშვილი. ძველი გამგეობა ამბობდა, რომ რაც ვალები დაიკარგება, ჩვენ გადავიხდითო.

დ. ნადირაძე. ახალ გამგეობას ყოველივე ღონე უნდა ეღონა, სამართალშიაც კი უნდა ეჩივლა, ხოლო თუ ამითაც ვერას გახდებოდა, მაშინ ვიხდიდი, და ეხლაც ვამბობ, რომ გადავიხდი. დანარჩენებისა არა ვიცი-რა.

დ. ჯავაშვილი. მე წინააღმდეგი ვიყავი ნისიებისა და არც არაფერს გადავიხდი, თუ დაგეკარგებათ რამე.

კრებამ დაადგინა მოაგონოს წევრებს ფულის გადახდა, თუ ამან ვერ გასჭრა, პაის ფულიდგან გამოერიცხოს, ხოლო თუ ზედ მეტი იქმნება კიდევ ანუ არა წევრები—სამართალში უჩივლოს. თუ ამითაც ვერას გახდებიან, ძველმა გამგეობამ უნდა გადაიხადოს.

მ. ტუსკაძე. შემოტანილი ფულის ნახევარი მიეცეს ნისიად.

ფ. მახარაძე. ინსტრუქციების შესადგენად ამ საგნის შესახებ შარშან იყო ამორჩეული კომისია, მაგრამ აქამდის არა მოუცია-რა იმ კომისიას.

ი. შანშიევი. ოქმი უნდა გადაეწერათ და გადმოეცათ ჩვენთვის, მაგრამ არავინ გადმოგვცა და ჩვენც თავი მივანებეთ.

ი. მენთეშაშვილი. ის ოქმი, დაქმუქნული ეხლა ამოიღო ჯიბიდგან ბ-ნმა ხოსიტაშვილმა.

თავმჯდომარე. ხელ ახლა ამოვირჩიოთ კომისია, რადგანაც ამისთანა საგნის გადაწყვეტა და ინსტრუქციის შედგენა საზოგადო კრების მიერ მოუხერხებელია.

ამის შემდეგ კრებამ ერთხმად დაამტკიცა; წარმოდგენილი ანგარიში. ზემოხსენებულ კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: თ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, ა. ნ. დიასამიძე, ბ. ყაზახაშვილი, ა. ნატროშვილი, თ. ნ. ერისთავი, მღვ. ი. იაშვილი და მღ. მათიკაშვილი.

ფ. მახარაძე. დეპოში სამსახური ჩემი საქმე არ იყო. მაგრამ რადგანაც ისეთ გაჭირებულ მდგომარეობაში იყო დეპო, რომ უკაცობის გამო უნდა დახურულიყო, ამიტომ მე ვიკისრე ეს საქმე ერთის წლით, ავად იყო თუ კარგად უძღვებოდი კიდევაც და მთელს ჩემს დროს ამას ვანდომებდი. თუმცა წელს დეპომ ზარალი ნახა 1300 მანათამდის, მაგრამ შარშანდელზედ კი ცოტა. ზარალის მიზეზი უფულობა იყო. ტფილისელი ვაჭრები არაფერს მანდობდნენ; ჩვენც გავყიდდით ხოლმე და ნაღდ ფულზედა ვყიდულობდით. ამის გამო ვაჭრობა ძალიან ცოტა იყო. გამგეობამ წელს ის მოახერხა, რომ სამეურნეო ბანკში ცოტა ოდენი კრედიტი გაიხსნა, დაიმსახურა ნდობა სამეურნეო სასაზოგადოებისა, რომელიც ნისიად უგზავნის გუთნებსა და ვენახების საწამლავ მასალას და სხ. ამასთანავე ამ მოკლე ხანში საუფლისწულო მამულების გამგეობასთან დაიჭირა საქმეები და იჯარით შეეკრა, რაც, უეჭველია,—დიდს დახმარებას და სარგებლობას მისცემს ჩვენს ამხანაგობას. ეხლა კი გთხოვთ, ბატონებო, იშოვნოთ კაცი და გამანთავისუფლოდ. უარი განაცხადეს გამგეობის დანარჩენმა წევრებმაც.

დეპოს ფეხზე წამოყენება, მისი გაუმჯობესება, კრედიტის მოპოვება და ერთი თვის განმავლობაში გამგეობისათვის გამოსადეგი კაცების შოვნა მიენდო იმავე კომისიას, რომელსაც სთხოვეს ნისიების ინსტრუქციის შედგენა. ამის შემდეგ საზოგადოების ორმა წევრმა ითხოვა პაის ფულის დაბრუნება. კრებამ დაადგინა—მიეცეთ წესდების მიხედვით იმათ ფულიო.

კრება დაიშალა საღამოს ექვსს საათზედ.

დამსწრე

## რუსეთი

რათა რუსეთის მოსწავლე ახალგაზდობას გაუადვილონ პარიჟში წასვლა და იქ მსოფლიო გამოფენის დათვალიერება, საერო განათლების სამინისტროს აზრადა აქვს შეიმუშაოს განსაკუთრებული პროექტი მოსწავლეთა მგზავრობისა. სამინისტრო ამ საგნის შესახებ უკვე მოელაპარაკა საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს.

— ზოგიერთ ქალაქის თვით-მმართველობათ შუამდგომლობა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქმნას ქალაქის თვით-მართველობების წარმომადგენელთა კრება ქალაქის საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად. როგორც „Рос." იუწყება, მთავრობა წინააღმდეგი არ იქმნება ამ კრებისა.

— ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ყველა საფერშლო სკოლაში თვალის ავადმყოფობის სწავლება შემოიღონ.

— პეტერბურგიდგან თხუთმეტის ვერსის მანძილზედ, ვ[ი]ევოლოჟის სადგურის მახლობლად, არსდება ბაღოსნობისა და მებოსტნეობის პრაქტიკული სკოლა ქალებისათვის. სკოლას აარსებს თავისს ხარჯით კ. ნ. ვორონიევი. სწავლა სკოლაში შემოდგომაზედ დაიწყება.

— საქალებო პროფესიონალურ განათლების გამავრცელებელმა საზოგადოებამ განიზრახა მეოჯახეობის კურსებისა და სკოლების დაარსება. ამ კურსების პროგრამაში შედის ყველა იმ სხვა-და-სხვა გვარ ცოდნის გავრცელება, რომელიც გაუადვილებს თვისის მოვალეობის ასრულებას ყოველის წრის ქალს. ამავე კურსებს საგნად აქვს მოამზადონ მეოჯახეობის მასწავლებელი ქალები, რომელთაც შეეძლებათ ასწავლონ მეოჯახეობა იმპერიის სხვა-და-სხვა გვარ სასწავლებლებსა და თავშესაფრებში.

— პეტერბურგის ხელოსანთა საზოგადოებას ნება მიეცა მოიწვიოს სრულიად რუსეთის ხელოსანთა კრება, რომელიც დაიწყება დიდის მარხვის პირველ ნახევარში.

— ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროექტის თანახმად, აქციებს, პაებს, ობლიგაციებს, გირავნობის ფურცლებს, ბილეთებს და სხვა სასარგებლო ქაღალდებს დაედებათ უმაღლესი გარდასახადი: თვითოეულ ქაღალდის ფასის $^{4}/_{10}$ $^{0}/_{0}$, თუნდა ეს ფასი 50 მანეთზედ ნაკლები იყოს.

— მთა-მადნის მუშათა განსაცდელისაგან უზრუნველ-საყოფელად, სამთო დეპარტამენტის ახლად შემუშავებულ პროექტის ძალით, ყველა მთამადნის პატრონები ვალდებულნი არიან იყოლიონ მადნებში მუშათა რიცხვის შესაფერი მკურნალები და ფერშლები, და აგრეთვე იქონიონ აფთიაქები და საავადმყოფოები. ამას გარდა, პროექტი სავალდებულოდ ჰხდის მუშათა სიცოცხლის დაზღვევას მათის ოჯახების უზრუნველ-საყოფელად მათის სიკვდილისა ანუ დავარდნის შემდეგ.

— ერთს დამზღვევ საზოგადოებას სატახტო ქალაქისას განზრახვა აქვს შემოიღოს წყალ-დიდობისაგან დაზღვევა.

— ნება დართულ იქმნა გაიცეს წელს სახელმწიფო ხაზინიდგან 57,700 მან. საიმპერატორო უნივერსიტეტებში ინსპექციის გასაძლიერებლად და იურიდიულ და საისტორიო საფილოლოგიო ფაკულტეტთა სტუდენტებისათვის პრაქტიკულ მეცადინეობის მოსაწყობად.

— მოსკოვში არსდება თურმე საზოგადოება გარყვნილობასთან საბრძოლველად, სახელ-წოდებით: „ქალთა ბედ-იღბლის გასაუმჯობესებელი საზოგადოება".

— ფინანსთა სამინისტრომ ამას წინად დააარსა პარიჟს 1900 წლის გამოფენაზედ იაფად გამგზავრების საზოგადოება. ამ ჟამად სამინისტროს დაუნიშნავს რევიზორები, რომლებმაც რუსების ინტერესები უნდა დაიცვან გამოფენაზედ, და მოუთხოვნია, რომ საზოგადოებამ ზომები მიიღოს პარიჟში იმ რუსთა მდგომარეობის გასაადვილებლად, რომელთაც ფრანგული ენა არ იციან,—სახელდობრ, იყოლიოს რუსთათვის საგანგებოდ დაქირავებულ სასტუმროებში რუსნი-მოსამსახურენი; დაახვედროს მგზავრთ რკინის გზის სადგურებზედ რუსეთის აგენტები, საკმარისად იყოლიოს თვით პარიჟში განათლებული თარჯიმანები, რომლებმაც უნდა გააცნონ რუსებს არა მარტო გამოფენა და პარიჟი, არამედ მსურველთ—ქარხნებიც და სხვა და სხვა საპრეწველო დაწესებულებანი. ეს უკანასკნელი მოთხოვნილება, საზოგადოებას გარდა, პარიჟელ მოსწავლე რუსთა ახალგაზრდობასაც დიდ სარგებლობას მოუტანს, რადგან ბევრმა მათგანმა წინადადება მიიღო იკისროს თარჯიმანობა და გაძღოლ-გამოძღოლა გამოფენის დროს.

## უცხოეთი

საფრანგეთი. გაზეთებს გაუგონიათ, რომ პოლკოვნიკი შნეიდერი პარიჟში აპირებს წასვლას, რათა დუელში გამოიწვიოს მაიორი კიუინიე. როგორც ვიცით, შნეიდერმა „Figaro"-ში გამოაცხადა, რომ ყალბია ის წერილი, რომელიც გენერალმა მერსიემ წაიკითხა რენის სამხედრო სასამართლოში, და რომლის ავტორად მე მასახელებენო. ხსენებულ წერილში სწერია, ვითომც შნეიდერს ეთქვას, რომ დრეიფუსთან დამოკიდებულება ჰქონდა გერმანიის სამხედრო აგენტს—შვარცკოპენსო. ერთმა მოწმეთაგანმა—მაიორმა კიუინიემ განაცხადა სასამართლოში, რომ მერსიეს მიერ წაკითხული წერილი ნამდვილად შნეიდერს ეკუთვნისო; ხოლო ამ უკანასკნელის დეპეშა „Figaro"-ში სარწმუნო არ არისო; პირიქით, ეს დეპეშა დრეიფუსის დანაშაულობას უფრო ამტკიცებსო, რადგან მას თავზე ხელს აფარებს სამთა კავშირის ერთ-ერთი მოკავშირე—ავსტრო-უნგრეთის სამხედრო აგენტიო.

რასა თქმა უნდა, შნეიდერი, როგორც აფიცერი, იუკადრისებდა, რომ მას ტყუილი შესწამა კიუინიემ, და საკვირველიც არ იქნება, თუ ეს უკანასკნელი დუელში გამოიწვია.

როგორც ამბობენ, ხსენებულ წერილის სიყალბე შემთხვევით გამოაშკარავებულა. გარდაწყვეტილი ყოფილა,—პოლკოვნიკ შნეიდერისათვის სასამართლოში ასო D. ეწოდებინათ, როგორც, მაგალითად, შვარცკოპენს ეძახდნენ A.-ს და პანიცარდს—B.-ს. როჟე, კავენიაკი და მერსიე ასე ეძახდნენ თურმე, და არავის ეჭვი არ შეუტანია, რომ დ.-ში შნეიდერი იგულისხმებოდა. დემანჟს არ გამოუაშკარავებია ეს საიდუმლო, მაგრამ, როცა შემთხვევა მიეცა, შნეიდერის სახელი მოიყვანა. ამ ხერხმა გასჭრა და სიმართლის გამორკვევას დიდი სარგებლობა მოუტანა: შნეიდერი იძულებული გახდა ხმა ამოეღო და სიმართლე აღედგინა.

ავსტრია. მას შემდეგ, რაც გრაფ ტუნის სამინისტრო სახელმწიფო კანონების მე-14 მუხლს დაემყარა, რომელიც მთავრობას ნებას აძლევს, უკიდურეს საჭიროების დროს, პარლამენტის ნება-დაურთველად კანონები გამოსცეს, ავსტრიაში არ შეწყვეტილა მღელვარება და ათასნაირი დემონსტრაცია. ერთა შორის ბრძოლამ, რომელიც ყველა სახელმწიფოზედ უფრო ძლიერია ავსტრიაში, არა თუ არ იკლო, არამედ უფროც იმატა ნორმალურ პოლიტიკურ ცხოვრების შეჩერების შემდეგ; ერთა შორის სიმშვიდეს ავსტრია ამ ჟამად ბევრად დაშორებულია, ვიდრე როდისმე სხვა დროს. განსაკუთრებული უსიამოვნება გამოიწვია სახელმწიფოს ყველა კუთხეში იმ გარემოებამ, რომ მე-14 §-ის ძალით მთავრობამ ბაჟი დააწესა შაქარზე. იმ ქვეყნებში, სადაც კონსტიტუცია არსებობს, რამე ბაჟის დაწესება და საზოგადოდ შემოსავალ-გასავლის დამტკიცება ერის წარმომადგენელთა უცილობელს უფლებას შეადგენს. გრაფმა ტუნმა, მე-14 მუხლის ძალით თვითონ დააწესა-რა ბაჟი შაქარზე, ამით დაარღვია არსებითი უფლებანი ერისა და კონსტიტუცია ფიქციათ აქცია.

ამას წინად თავიანთ იმპერატორის დაბადების დღე უნდა ედღესასწაულნათ ავსტრიაში. წინა დღით ნემეცთა ნაციონალისტებმა ისეთი დემონსტრაცია მოახდინეს აშში (ბოჰემიაში), რომ ქალაქის განათება შეუძლებელი იყო. მთელს ქალაქში მარტო ერთ შენობაზედ—ფოსტის სადგურზედ—იყო გამოკიდებული ბაირაღი. როცა საღამოს ეს შენობა გაანათეს, ხალხმა ხმაურობა ასტეხა ქუჩაზედ, რის გამო ჩირაღდნები უნდა გაექროთ. საბაჟო სადგურს დარაჯები იცავდნენ, ამისდა მიუხედავად მანიფესტაციის წევრებმა ფანჯრები მაინც ჩალეწეს და დარაჯები იძულებულ ჰყვეს გაქცეულიყვნენ. აგრეთვე დემონსტრაცია მოხდა ჟანდარმების ყაზარმების წინ. ჟანდარმებმა ვერ გაჰბედეს შებრძოლებოდნენ ბრბოს, რომელიც თითქმის ათი ათასის კაცისაგან შესდგებოდა. ყაზარმებიდგან მანიფესტანტები კათოლიკეთა ეპისკოპოსის შენობისაკენ წავიდნენ, სადაც ყველა ფანჯრები ჩალეწეს. ხალხი ჰყვიროდა: „არ გვინდა კლერიკალები! არ გვინდა რომი! არ გვინდა მე-14 მუხლი! გაუმარჯოს კონსტიტუციასო"! მანიფესტანტებმა იმპერატორის დერბი მოაგლიჯეს დამოუნის შენობას და სხ. ზემოთ-ნათქვამი ცხადად გვიჩვენებს, ხალხი როგორ გამოსულა მოთმინებიდგან. ტუნის სამინისტრო რომ იძულებული იქნება ადრე გადადგეს სამსახურიდგან, ეს საეჭვოდ არავის მიაჩნია, ხოლო პარლამენტში განმეორდება კიდევ თუ არა ობსტრუქცია, რამაც აიძულა მთავრობა, მე-14 მუხლის ძალით, უპარლამენტოთ ქვეყნის მართვა-გამგეობა ეკისრნა, ამის შესახებ გადაწყვეტილს ვერავინ ვერას ამბობს.

სერბია. უმთავრესი დამნაშავენი მილანის წინააღმდეგ შეთქმულთა შორის—პოლკოვნიკი ნიკოლიჩი და კნეჟევიჩი, რომელთაგან უკანასკნელს ის ბრალდება, რომ მილანს მოსაკლავად თავს დაეცა ქუჩაში, და პირველს ისა, რომ უკანასკნელი წააქეზა,—ერთმანეთს წაუყენეს პირისპირ სასამართლოში. პოლკოვნიკ ნიკოლიჩს უთქვას სასამართლოს წევრებისათვის შემდეგი: მე პატიოსანი კაცი ვარ და ძველი მხედარი და მილან ობრენოვიჩთან ანგარიშის გასწორება თუ მინდოდა (სამაგიეროს გადახდა), მე თითონ მოვახერხებდი ამას; ჩემთვის საჭირო არ იყო დახმარება მეთხოვნა ისეთის კაცებისათვის, როგორიც კნეჟევიჩია. თქვენ შეგიძლიანთ დახვრეტა გადამიწყვიტოთ, რაც გსურთ, ის მოიქმედოთ, მაგრამ ამ კაცთან ერთად ნუ დამაყენებთ, ერთ-მეორესთან ნუ დაგვაკავშირებთ ჩვენა.

## თეატრის მატიანე

კვირას, 15 აგვისტოს, ქ. გორში, ადგილობრივის სამოქალაქო სასწავლებლის დარბაზში, ქართულ თეატრის არტისტ-ქალმა ქ-ნმა ე. ა. ჩერქეზიშვილმა გამართა ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს ორი პიესა: „ვაის გავეყარე, უის შევეყარე"—ვოდ. ვ. გუნიასი და „სამოცი წლის არშიყი"—ე. ა. ჩერქეზიშვილისა. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ თვით ქ-ნი ჩერქეზიშვილისა და სცენის მოყვარენი. თითქმის ყველა მოთამაშეთ როლები

კარგად იცოდნენ, მოხდენილადაც წარმოადგინეს და ორივე პიესამ მწყობრად ჩაიარა, რის გამოც დამსწრე საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა. განსაკუთრებით სასიამოვნოდ იმოქმედა საზოგადოებაზედ ქ-ნის ჩერქეზიშვილის ხელოვნურმა თამაშმა, რისთვისაც არტისტს ქალს დამსწრენი ხშირად ალტაცებულ ტაშის ცემით ასაჩუქრებდნენ. ნამეტნავად შეუდარებელი იყო იგი მკითხავ თათრის დედაკაცის როლში, რომლის დასრულების შემდეგ სამჯერ გამოიწვიეს ტაშის კვრით. ძალიან მარჯვეთ შეასრულა თავისი როლი ქ-ნმა ანანიამაც (ვ. კუნდელი). ამ ახალგაზრდა ქალს ჩვენ პირველად ვხედავთ ქართულ სცენაზედ და გულ-ახდით უნდა ვთქვათ, რომ ბევრის ახალმოცად არტისტ-ქალის თამაში არ მოგვწონებია ისე, როგორც მისი თამაში. მისი მოსაზრებული მოქმედება, როლის შეგნება, გრძნობის ნათლად გამოსახვა და სხ. უტყუარი ნიშანია მისის ნიჭის ნაპერწკალისა. სასურველია, რომ ამ ქალს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ქართულ თეატრის ბედის გამგეთ, რომელთაც დღეს სანთლით საძებარი გახდომიათ არტისტი ქალები.

მოთამაშე ყმაწვილ კაცთა შორის საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს ბ-ნმა ყანჩელმა და კ. ხახანაშვილმა, რომლებმაც ბევრი აცინეს დამსწრენი. დანარჩენი მოთამაშენი ხელს უწყობდნენ წარმოდგენის წესიერად ჩავლას. სხვათა შორის, რიგიანად შეასრულა მსახურის როლი ბ-ნმა ქემერტელმა; მხოლოდ აფიცრის როლის მოთამაშე ბ-ნი პარკაძე ცოტა შეუფერებელი იყო თავისის ტანისამოსით, რომელიც უფრო ჩაფრისას წააგავდა, ვიდრე აფიცრისას.

წარმოდგენის დასასრულ გაიმართა ლეკური, რომელიც ითავეს ქ-ნმა ჩერქეზიშვილისამ და ორმა ყმაწვილმა კაცმა. საზოგადოება წარმოდგენას ბევრი დაესწრო.

?!?

## დამაკვირდი

ნათელი გონების ნაქმარი ნათელ არს და ბრწყინვალე უგუნითი უგუნისამდე.

ლასურიძე

* * *

ნეტარ ღირს იყოს, ჩვენდაცა თქუმად: „ნაშრომი კელთა შენთაჲ სჭამო შენ“.

გიორგი მთაწმინდელი

* * *

უოკჳლსა ჟამსა და უოკჳლსა დღესა სარგებელ არს კსენებაჲ სიკუდილისაჲ.

თეოდორე სტუდიელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ჟამად ნიუ-იორკში ამთავრებენ ელექტრონის სადგურს, რომელიც მთელ დედამიწის ზურგზედ უდიდესი ელექტრონის სადგური იქმნება. ამ სადგურის შემწეობით უნდა გაანათონ ქუჩები, ვაგონები ატარონ და სხვა. ის ძალა, რომელსაც მანქანები მოჰყავს მოძრაობაში, უდრის 70,000 ცხენის ძალას. მანქანები მნახველს აკვირვებს თავისის სიდიდით. სხვათა შორის ერთი დიდი მილია გამართული, რომლის სიმაღლეც 108 მეტრია, ხოლო სიგანე 12 მეტრი. მილი აგურით არის აშენებული და დასჭირდა სულ 3,400,000 აგური, იწონის 530,000 ფუთს. დღეში ამ სადგურს რამდენიმე ვაგონი ქვა-ნახშირი სჭირდება თურმე.

* * *

ამას წინად, როგორც გაზეთი „Neue Freie Presse“ იუწყება, საშინელის ტანჯვისა და წვალების შემდეგ გარდაცვლილა ახალგაზრდა, 22 წლის ქალი. ქალი მწვანე აბრეშუმის პერანგისაგან მოწამლულა და წუთი სოფელს ამის გამო გამოსალმებია. ამ ქალს, გვარად მიცცი შვარცს, მწვანე სალებავით შეღებილი პერანგი სცმია. წინა დღეს სხვაგან ყოფილა და შინ დაბრუნებისას ძალიან გაოფლიანებულა. ამავე დროს უცაბედათ იღლიაში მუწუკი აუგლეჯია, სალებავი ამ მუწუკს მოჰხვედრია და სისხლი მოუწამლია. შინ დაბრუნებისას ქალს გული ასტკივნია. მაშინვე ექიმი მოუწვევიათ, მაგრამ შვარცს, სირცხვილის გამო თუ სხვა მიზეზით, მუწუკი არ უჩვენებია და ექიმს ავადმყოფობისა ვერაფერი გაუგია. მხოლოდ მეორე დღეს, როდესაც ტკივილი გაორკეცებულა, ქალს მუწუკი უჩვენებია ექიმისთვის, მაგრამ გვიანღა იყო: შხამ შერეულ სალებავს უკვე მთელი სისხლი მოეწამლა. შვარცი იმავე საღამოს გარდაცვლილა.

* * *

ინგლისის ფლოტში შემოუღიათ ახალი ზარბაზანი, რომელიც დღემდის გამოგონებულ ზარბაზნებს ბევრითა სჯობია თურმე. ამ ზარბაზანს ყუმბარა ცხრა ვერსის მანძილზედ მიაქვს. ამას გარდა ახლად გამოგონებულ ზარბაზანს გაცილებით ნაკლები წამალი უნდება. ისეთი ყუმბარის გასასროლად, რომელიც 20 ფუთს იწონის, წინანდელ ზარბაზანს უნდებოდა 133 კილოგრამმა (კილოგრამმა დაახლოვებით $2^1/_2$ გირვანქაა,) უკვამლო წამალი; ახლად გამოგონებულ ზარბაზანს-კი 24 ფუთიან ყუმბარის გასასროლად სულ 76 გილოგრამმა წამალი უნდა. ინგლისის მთავრობამ მრავალი ზარბაზანი შეუკვეთა ამ სისტემისა. სამი გემი უკვე შეაიარაღეს ამ ზარბაზნებით.

* * *

ლონდონიდგან იუწყებიან, რომ კლონდაიკის დედა-ქალაქი—დაუსონი ცეცხლმა გაანადგურაო. ზარალი რამდენსამე მილიონ დოლლარს აღემატება თურმე. ჩვენ გაზეთში ბევრი რამ ეწერა კლონდაიკის და იმის დედა-ქალაქის დაუსონის შესახებ. ამ შესანიშნავის ქალაქის ისტორია იწყობა მხოლოდ 1896 წლიდგან. ამ წელს დაუსონი სულ 2 ქოხისაგან შესდგებოდა; სცხოვრობდა იქ 25 კაცი. მაგრამ მალე ოქრომ და ჩქარის გამდიდრების სურვილმა მრავალი ხალხი მიიზიდა: ერთის წლის შემდეგ მცხოვრებთა რიცხვი 500 კაცამდე ავიდა, ხოლო 1898 წელს ეს რიცხვი 16.000 აღემატა. ქალაქმა საკუთარი თეატრიც-კი აიშენა. და აი დღეს ყველა ეს სახლები ცეცხლის მსხვერპლი გამხდარა.

* * *

მათხოვრებმაც-კი შეიგნეს, რომ ერთობა დიდი ძალაა და ამ ერთობით ბევრი რამ სასარგებლო გაკეთდება. ამერიკის ქალაქ ფილადელფიაში მათხოვრებს დაუარსებიათ ურთი-ერთ დამხმარებელი საზოგადოება. საზოგადოებამ მთელი ქალაქი წვრილ-წვრილ ნაწილებად დაჰყო და თითო ნაწილი ცალკე მათხოვარს მიუჩინა. საზოგადოების წევრები საერთო კასის სასარგებლოდ ერთხელვე დადებულ გადასახადს იღებენ. თუ რომელიმე მათხოვარი პოლიციამ დააჯარიმა, ამ ჯარიმას კასა ისტუმრებს. ფილადელფიაში ისეთი მათხოვრებიც არიან, რომელნიც საზოგადოების წევრებად არ ჩაეწერნენ. ამ მათხოვრებს საზოგადოება საქმეს ძალიან უჭირებს: თუ რომელიმე მათხოვარი უარზედ დადგა და საზოგადოების წევრად არ ჩაეწერა, გამგეობა საზოგადოებისა იმ ნაწილში, სადაც ურჩი მათხოვარია, რამდენსამე თავისს წევრს ჰგზავნის, უფრო დახელოვნებულ და გამოცდილ მათხოვარს, რათა კონკურენცია გაუწიონ პირველს. თუ ამანაც არაფერი უშველა, მაშინ ერთი მათხოვარი სუფთა ტანისამოსს იცვამს და ვითარცა პატიოსანი მოქალაქე პოლიციას ეუბნება, რომ აქა-და-აქ მათხოვარია, რომელიც გამვლელ-გამომვლელთ მოსვენებას არ აძლევს, და გთხოვთ დააპატიმროთო.

* * *

როგორც ვუწყით, ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ ჰერცოგი ამბრუცცი-კი გაემართა. ჰერცოგის ექსპედიცია საუკეთესოდ არის მოწყობილი და იმედი აქვთ, რომ ეს ექსპედიცია ბევრს ახალს ადგილებს გამოიკვლევს და ცნობას მოიტანს. ჰერცოგი იმ გემით გაემართა პოლიუსისაკენ, რომლითაც ნანსენი გრენლანდიაში იყო. გემს სახელად „პოლიუსის ვარსკვლავი“ ჰქვიან. ჰერცოგმა გემი საუკეთესოდ მოაწყო, თან აუარებელი სურსათი წაიღო და 120 ძაღლი წაიყვანა. ზღვაოსნებად გემზედ იტალიელები და ნორვეგიელები არიან. გემის უფროსად ჰერცოგმა გამოცდილი ზღვაოსანი ევენსონი დანიშნა. ექსპედიცია ზამთარს ფრანც-იოსების მიწაზედ გაატარებს. იქ სურსათის საწყობებს გამართავს და შემდეგ მარხილებითა და ძაღლებით პოლიუსისაკენ გაუდგება გზას.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 აგვისტო.

**რენნი.** „ჰავასის სააგენტო“. სხდომა გაიხსნა 6 ს. და 40 წ. დარბაზი სავსე იყო. პარაფუავალმა განაგრძო თავისი ჩვენება: ის ცდილობდა კვალდაკვალ დაერღვია ყველა საბუთი ბერტილიონისა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ განაცხადა—არ შეიძლება ბორდერო გადახატული იყოსო.

ინჟენერი ბერნარიც აგრეთვე არღვევდა ბერტილიონის სისტემას.

ექსპერტმა ტეისონიერმა განაცხადა, რომ იმავე აზრისა ვარ, რომელიც ჩემს მოხსენებაშია გამოთქმული 1894 წ. დასასრულ სთქვა, რომ ბორდეროს ხელი იგივეა, რაც იმ საბუთის ქაღალდების ხელი, რომელნიც დრეიფუსს ჩამოართვეს შესადარებლადო. ექსპერტმა განაგრძო ლაპარაკი და განაცხადა, რომ ბორდეროს ავტორი ცდილა ხელი გამოეცვალა, მაგრამ ბუნებას თავისი გაუტანიაო.

არხივარიუსმა შარავემ ილაპარაკა, რომ როცა 1894 წ. დრეიფუსს მივაწერე ბორდერო, შეცდომილებაში შემიყვანა ნაწერების მსგავსებამო, მაგრამ გამოქვეყნებულმა ესტერგაზის წერილებმა, ანრის მიერ ჩადენილ სიყალბის გამოაშკარავებამ, საკასაციო პალატის გამოძიებამ და ესტერგაზის გამოტეხამ დამარწმუნეს, რომ მე შემცდარი ვიყავიო. „ჩემის სინიდისისათვისო,—დასძინა მან,—დიდი შემსუბუქებაა, რომ მე შემიძლიან განვაცხადო, რომ ბორდერო დრეიფუსის კი არა, ესტერგაზის დაწერილიაო“.

ექსპერტი პელეტიე ამტკიცებდა, როგორც 1894 წ., რომ ბორდეროს ხელი არა ჰგავს დრეიფუსის ხელსო.

კუარი, რომელიც ესტერგაზის საქმის გარჩევის დროს იყო ექსპერტად 1897 წ., ამბობდა, რომ ჩემს თავს სანაძლეოთ დავსდებ, ბორდერო თუ ესტერგაზის დაწერილი გამოჩნდებაო. დრეიფუსის შესახებ არა სთქვა-რა, რადგან იმისი ხელი არასოდეს არ შემისწავლიაო. იმან დასძინა, რომ ოთხი თუ ხუთი სიტყვა ბორდეროში ესტერგაზის ნაწერების მიმსგავსებით არის გადაღებულიო.

ექსპერტი ვარინარიც ამტკიცებდა, რომ ბორდერო ესტერგაზის დაწერილი არ არის, თუმცა ესტერგაზი თითონ აცხადებდა, რომ ბორდერო ჩემი ნამოქმედარი არისო.

კარიერის თხოვნით სასამართლოს თავმჯდომარემ გარდასწყვიტა კომისია გაჰგზავნოს დიუ-პატი-დე-კლამის ჩვენების ჩამოსართმევად.

ხვალ დილით ჩვენებას ჩამოართმევენ კორდიეს, გლოშეს და ფრეისინეს.

**პარიჟი.** მთავრობას აზრად აქვს მოუწოდოს უმაღლესს სასამართლოს სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულთა საქმის გასარჩევად, რომელნიც ამას წინად იქმნენ დატუსაღებულნი. ბრძანება მოწოდების შესახებ ხელმოწერილი იქნება ერთ-ერთ მახლობელ მინისტრთა საბჭოს სხდომაზედ.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბაღდათის უფასო წიგნთ-საცავს შემოსწირეს:

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ 34 ცალი ქართული წიგნი, ღირებული 10 მან., ერმილე ამბაკოს ძე ჩხატარაიშვილმა მიმდინარე წლის სამეურნეო ჟურნალი „Органъ Россійскаго плодоводства“, ღირებული 6 მ., ივანე ბეიშვილმა 1897 წლის „კვალი“ ყდით, ღირებული 7 მ., პარმენ აქვსენტის ძე ბურჯანაძემ 4 ცალი ქართული წიგნი, ღირებული 85 კ., ელენე ივანეს ასულმა ჯაფარიძემ 2 ც. ქართული წიგნი,—35 კ., ლიზა ბურჯანაძემ 4 ცალი ქართული წიგნი—1 მან., მარიამ იპოლიტეს ასულმა გველესიანმა 3 ცალი ქართული წიგნი,—40 კაპ., იოსებ ხითაროვმა კარებზე გამოსაკიდი განცხადება, ღირებული 80 კაპ., ერმილე დვალიშვილი უფასოდ კეთილ-სინიდისიერად ემსახურება წიგნთ-საცავს.

მმართველი სამკითხველოსი მასწავლებელი
ვარლამ ბურჯანაძე


## განცხადებანი

### წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისაგან

პირველ სექტემბრიდამ პირველ ოქტომბრამდე ამა წლისა წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნეობისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მმართველს, ანუ მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს (მომრიგებელ მოსამართლეს ქალაქ ტფილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული ამოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება. მხოლოდ ვინც მოსამზადებელი კლასის დანარჩენ განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება. მეფუტკრეობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა, და ჩილინგრობისა (სლესარობისა).

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორის მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხვო. კვირა-უქმეში კი სამი კერძი. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც სურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს წინათ მთელი წლის შესანახი ფული 84 მანეთი; უკეთუ შეგირდი წლის შესრულებამდე სადგურიდგან გავიდა, მაშინ ეს ფული უკან იმათ დედ-მამას აღარ დაებრუნებათ და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგები, ექვსი ხელი საცვალი, პირსახოცები, ბალიშის პირები ზეწრები და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო.

### გორის ანასტასიის საქალებო პროგიმნაზიაში

დანიშნულია: განმეორებითი ეგზამენები 27 და 28 აგვისტოს; მისაღები გამოცდა—იმავე დღეებში და 31 აგვისტოს; პარაკლისის გარდახდა და გაკვეთილების დაწყება—1-ლ სექტემბერს. მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებაში მიიღებენ ბავშვებს 7 წლიდგან, რომელთაც სრულიად არ იციან რუსული ენა და თითქმის მშობლიურ ენაზედ წერა-კითხვაც-კი. (3—უ.—3)

### აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მელლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—ნ.—18) ნ. წერეთელი


Дозволено цензурою, Тифлисъ 17-го Августа 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.